# ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრეცედენტული სამართალი

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (CJEU) 2025 წლის 3 აპრილის გადაწყვეტილება Ministerstvo zdravotnictví (Données relatives au représentant d'une personne morale), C-710/23, ECLI:EU:C:2025:231.

*მოკლე მიმოხილვა:*

საქმე შეეხებოდა დავას ლ.ჰ.-სა და ჩეხეთის რესპუბლიკის ჯანდაცვის სამინისტროს შორის, რომლის ფარგლებშიც ლ.ჰ.-ს სამინისტროსგან არ მიეწოდა იურიდიული პირების იმ წარმომადგენლების პერსონალური მონაცემები, რომლებიც Covid-19-ის ტესტებისა და ამ ტესტების სერტიფიკატების ნასყიდობის შესახებ ხელშეკრულებებში ფიგურირებდნენ.

საქმის განმხილველმა ეროვნულმა სასამართლომ წინასწარი გადაწყვეტილების პროცედურით მიმართა ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს შემდეგი კითხვით: იურიდიული პირის წარმომადგენელი ფიზიკური პირის[1] სახელის, გვარის, ხელმოწერისა და საკონტაქტო ინფორმაციის გამჟღავნება წარმოადგენდა თუ არა პერსონალური მონაცემების „დამუშავებას" ევროპარლამენტისა და საბჭოს 2016 წლის 27 აპრილის რეგულაციის 2016/679[2] მნიშვნელობით?

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს განმარტებით, რეგულაციის მე-4 მუხლის 1-ელი და მე-2 პუნქტების მიზნებისათვის, არარელევანტური იყო ის ფაქტი, რომ მონაცემთა გამჟღავნება იურიდიული პირის სახელით მოქმედი ფიზიკური პირის იდენტიფიკაციას უკავშირდებოდა. რეგულაციის პრეამბულის მე-14 პუნქტიდან არ გამომდინარეობდა, რომ ასეთი ინფორმაცია უნდა მიკუთვნებოდა იურიდიულ პირთან დაკავშირებულ მონაცემებს.[3] ამრიგად, სასამართლომ განმარტა, რომ ფიზიკური პირის სახელის, გვარის, ხელმოწერისა და საკონტაქტო ინფორმაციის გამჟღავნება წარმოადგენდა პერსონალური მონაცემების დამუშავებას, იმისგან დამოუკიდებლად, თუ რა მიზანს ემსახურებოდა მონაცემთა გამჟღავნება.

*მნიშვნელოვანი ამონარიდები გადაწყვეტილებიდან:*

20 [მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის (GDPR)] მე-4 მუხლის 1-ელი პუნქტის თანახმად, „პერსონალური მონაცემები" ნიშნავს „ნებისმიერ ინფორმაციას, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს". „იდენტიფიცირებადი ფიზიკური პირი", იმავე დებულების მნიშვნელობით, არის „პირი, რომლის იდენტიფიცირება შესაძლებელია პირდაპირ ან არაპირდაპირ, კერძოდ, ისეთ იდენტიფიკატორზე მითითებით, როგორიცაა სახელი, საიდენტიფიკაციო ნომერი, ადგილმდებარეობის შესახებ მონაცემები, ონლაინ იდენტიფიკატორი, ან ერთ არ მეტ ისეთ ფაქტორზე მითითებით, რომელიც წარმოადგენს აღნიშნული ფიზიკური პირის ფიზიკური, ფიზიოლოგიური, გენეტიკური, ფსიქიკური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ვინაობის მახასიათებელს.

[...]

---

[1] მთარგმნელის კომენტარი: იგულისხმება ფიზიკური პირი, რომელიც აღჭურვილია იურიდიული პირის სახელით მოქმედების უფლებამოსილებით (მაგალითად, კომპანიის დირექტორი ან სხვა უფლებამოსილი წარმომადგენელი).

[2] მთარგმნელის კომენტარი: იგულისხმება ევროპარლამენტისა და საბჭოს 2016 წლის 27 აპრილის რეგულაცია (EU) 2016/679 პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას ფიზიკურ პირთა დაცვის და ასეთი მონაცემების თავისუფალი მიმოქცევის შესახებ, რომელიც აუქმებს დირექტივას 95/46/EC (მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაცია (GDPR)).

[3] მთარგმნელის კომენტარი: რეგულაციის პრეამბულის მე-14 პუნქტის თანახმად, რეგულაციის მოქმედება არ ვრცელდება იურიდიულ პირთან დაკავშირებულ მონაცემებზე.

21 დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, ფრაზის „ნებისმიერი ინფორმაცია“ გამოყენება „პერსონალური მონაცემების“ ცნების განმარტებაში მიუთითებს ევროკავშირის კანონმდებლის მიზანზე, ფართო მნიშვნელობა მიანიჭოს აღნიშნულ ცნებას, რომელიც პოტენციურად მოიცავს ყველანაირ ინფორმაციას – არამხოლოდ ობიექტურს, არამედ სუბიექტურსაც – მოსაზრებებისა და შეფასებების სახით, თუ ის „უკავშირდება“ მონაცემთა სუბიექტს. ინფორმაცია უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს, თუ ის, მისი შინაარსიდან, მიზნიდან ან შედეგიდან გამომდინარე, დაკავშირებულია იდენტიფიცირებად პირთან.[4] […]

22 ამგვარად, ინფორმაცია, რომელიც ეხება იდენტიფიცირებული ან იდენტიფიცირებადი ფიზიკური პირების ვინაობას, რომლებიც, როგორც კანონის შესაბამისად შექმნილი ორგანო ან ასეთი ორგანოს წევრები, უფლებამოსილნი არიან, წარმოადგინონ კომპანია მესამე პირებთან ურთიერთობებში, წარმოადგენს „პერსონალურ მონაცემებს“ მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის (GDPR) მე-4 მუხლის 1-ელი პუნქტის მნიშვნელობით. ის ფაქტი, რომ აღნიშნული ინფორმაციის მიწოდება მოხდა პროფესიული საქმიანობის ფარგლებში, არ ნიშნავს იმას, რომ ის ვერ დაკვალიფიცირდება, როგორც პერსონალური მონაცემი. […]

23 […] აღნიშნული განმარტება არ შეიძლება გაბათილდეს მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის (GDPR) პრეამბულის მე-14 პუნქტით. ამ პუნქტის მე-2 წინადადება, მათ შორის, მიუთითებს იურიდიული პირის „სახელსა“ და „საკონტაქტო ინფორმაციაზე“ და არა იურიდიული პირის სახელით ან დავალებით მოქმედი ფიზიკური პირების მონაცემებზე.

24 განსახილველ საქმეში, უნდა აღინიშნოს, რომ იდენტიფიცირებული ან იდენტიფიცირებადი ფიზიკური პირის სახელი და გვარი წარმოადგენს პერსონალურ მონაცემებს მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის (GDPR) მე-4 მუხლის 1-ელი პუნქტის მნიშვნელობით. იგივე ეხება ფიზიკური პირის ხელმოწერასაც.[5]

[…]

26 რაც შეეხება [მონაცემთა] „დამუშავების“ ცნებას მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის (GDPR) მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის მნიშვნელობით, აღნიშნული დებულებით ის განისაზღვრება, როგორც „პერსონალური მონაცემების ან მონაცემთა ჯგუფის მიმართ შესრულებული ნებისმიერი ოპერაცია ან ოპერაციათა ერთობლიობა, მიუხედავად იმისა, ავტომატური საშუალებით არის ისინი შესრულებული თუ არა, როგორიც არის შეგროვება, ჩაწერა, ორგანიზება, სტრუქტურირება, შენახვა, ადაპტაცია ან შეცვლა, აღდგენა, მოძიება, გამოყენება, მონაცემთა გამჟღავნება მათი გადაცემით, გავრცელებით ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომით, დაჯგუფება ან კომბინირება, შეზღუდვა, წაშლა ან განადგურება.“

27 ამგვარად, ფრაზიდან „ნებისმიერი ოპერაცია“ ნათლად ჩანს, რომ კანონმდებელს სურდა აღნიშნული ცნებისთვის ფართო მნიშვნელობის მიცემა, რასაც ადასტურებს ამ დებულებაში მოცემული ოპერაციების არასრული ჩამონათვალი, რაც გამოიხატება ფრაზით „როგორიც არის“[6] […]

28 ნებისმიერ შემთხვევაში, მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის (GDPR) მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის ფორმულირებაში არაფერი მიანიშნებს იმაზე, რომ […] აღნიშნული ოპერაციები უნდა კლასიფიცირდეს, როგორც „დამუშავება“ მათი მიზნიდან გამომდინარე.

[…]

---

[4] მთარგმნელის კომენტარი: იხ. მაგ. სასამართლოს 2024 წლის 7 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე *IAB Europe,* C-604/22, EU:C:2024:214, პარა. 36-37 და 2024 წლის 4 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Agentsia po vpisvaniyata,* C-200/23, EU:C:2024:827, პარა. 130-131.

[5] მთარგმნელის კომენტარი: მსგავს სამართლებრივ საკითხთან დაკავშირებით იხ. სასამართლოს 2024 წლის 4 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Agentsia po vpisvaniyata,* C-200/23, EU:C:2024:827, პარა. 136.

[6] მთარგმნელის კომენტარი: მსგავს სამართლებრივ საკითხთან დაკავშირებით იხ. სასამართლოს 2024 წლის 7 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე *Endemol Shine Finland,* C-740/22, EU:C:2024:216, პარა. 29-30.

30 განსახილველ საქმეში, ისეთი მონაცემების გამჟღავნება, როგორიცაა იურიდიული პირის წარმომადგენელი ფიზიკური პირის სახელი, გვარი, ხელმოწერა და საკონტაქტო ინფორმაცია, ექცევა „დამუშავების“ ცნების ფარგლებში მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის (GDPR) მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის მნიშვნელობით. [...] ის ფაქტი, რომ ასეთი მონაცემების გამჟღავნების ერთადერთ მიზანს წარმოადგენდა იურიდიული პირის სახელით მოქმედების უფლების მქონე ფიზიკური პირის იდენტიფიცირება, არარელევანტურია აღნიშნული დებულების მიხედვით „დამუშავებად“ კლასიფიცირების მიზნისთვის.

31 ამრიგად, [...] მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის (GDPR) მე-4 მუხლის 1-ელი და მე-2 პუნქტები უნდა განიმარტოს იმგვარად, რომ იურიდიული პირის წარმომადგენელი ფიზიკური პირის სახელის, გვარის, ხელმოწერისა და საკონტაქტო ინფორმაციის გამჟღავნება წარმოადგენს პერსონალური მონაცემების დამუშავებას. ამ მხრივ არარელევანტურია ის ფაქტი, რომ გამჟღავნება ხორციელდება მხოლოდ იმ ფიზიკური პირის იდენტიფიცირების მიზნით, რომელსაც აღნიშნული იურიდიული პირის სახელით მოქმედების უფლებამოსილება აქვს.

| | |
|---|---|
| **ეროვნული კანონმდებლობის ნორმის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების საფუძველი** | საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების დანართი I |
| **ევროკავშირის სამართლებრივი აქტი, რომელთანაც მოხდა ეროვნული ნორმის დაახლოება** | ევროპარლამენტისა და საბჭოს 2016 წლის 27 აპრილის რეგულაცია (EU) 2016/679 პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას ფიზიკურ პირთა დაცვის და ასეთი მონაცემების თავისუფალი მიმოქცევის შესახებ, რომელიც აუქმებს დირექტივას 95/46/EC (მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაცია (GDPR)) |
| **ევროკავშირის სამართლის დებულება** | რეგულაციის 2016/679 მე-4 მუხლის 1-ელი და მე-2 პუნქტები |
| **ეროვნული ნორმა, რომლის დაახლოება ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან უკვე მოხდა** | „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ა“ და „ვ“ პუნქტები<br>*(სარეგისტრაციო კოდი: 010100000.05.001.020936; 13/05/2025 კონსოლიდირებული ვერსია)* |
| **საკვანძო ტერმინი** | **პერსონალური მონაცემი; მონაცემთა დამუშავება** |
| **CJEU-ის პრეცედენტული სამართალი** | 2025 წლის 3 აპრილის გადაწყვეტილება Ministerstvo zdravotnictví (Données relatives au représentant d'une personne morale), C-710/23, ECLI:EU:C:2025:231 |

*ინფორმაცია დამუშავებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ევროკავშირის სამართლის დეპარტამენტის მიერ, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილებათა ანალიზის საფუძველზე. ანალიზი განკუთვნილია მხოლოდ საინფორმაციო და საგანმანათლებლო მიზნებისთვის და არ ასახავს რომელიმე ორგანიზაციის, დაწესებულების ან სუბიექტის შეხედულებებს.*